



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №15
დეკემბერი, 2020

თბილისი, 2021

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

მარიამ ლაცაბიძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ - იმპლემენტაცია. მისი დაფარვის არეალია: თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

2020 წლის არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენები

მოლაპარაკების პროცესი „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ოპოზიციამ უარი თქვა საპარლამენტო მანდატებზე და ბოიკოტის რეჟიმში გადავიდა.¹ ისინი ხელახალი არჩევნების ჩატარებას, ცესკოს თავმჯდომარის გადადგომას და პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ითხოვენ.² ოპოზიციასა და „ქართულ ოცნებას“ შორის არჩევნების შედეგებზე შეუთანხმებლობის გამო, ქვეყანა კრიზისში შევიდა.³ ამ კრიზისის განმუხტვის მიზნით, ფასილიტატორი ელჩების შუამავლობით, მხარეებს შორის დიალოგის პროცესი დაიწყო.⁴ მოლაპარაკების ორი რაუნდი 12 და 14 ნოემბერს შედგა.⁵ ამის მიუხედავად, მხარეები შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ.⁶

4 დეკემბერს აშშ-ის ელჩის მოადგილის რეზიდენციაში მრავალმხრივი შეხვედრა გაიმართა.⁷ როგორც მისი დასრულების შემდეგ ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, მათ ელჩებთან წინადადებათა პაკეტი წერილობით მიიტანეს, რომელსაც შემდგომ დიპლომატები „ქართულ ოცნებას“ გააცნობდნენ.⁸

7 დეკემბერს აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის რეზიდენციაში „ქართულ ოცნებასა“ და 9 ოპოზიციურ პარტიას შორის, ფასილიტატორი ელჩების შუამავლობით, მოლაპარაკების მესამე რაუნდი გაიმართა.⁹ პირველი ორი შეხვედრისგან განსხვავებით, მას მმართველი პარტიიდან, არჩილ თალაკვაძესთან ერთად, ირაკლი კობახიძეც დაესწრო.¹⁰ ოპოზიციაში განაცხადეს, რომ, გარკვეულწილად, პოზიციების დაახლოება მოახერხეს, თუმცა ეს რაუნდიც კონკრეტული შეთანხმების გარეშე დასრულდა.¹¹ „შემიძლია გითხრათ, რომ იყო გარკვეული საკითხები, რომლებზეც პოზიციების

¹ იხ. ლაცაბიძე მ. საინფორმაციო ბიულეტენი №14. ნოემბერი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2020, გვ. 6-7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3okj4ZL>, განახლებულია: 05.01.2021.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ „ოპოზიციამ საკუთარი მოთხოვნები ელჩებს წერილობით გადასცა“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 04.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35aBJ2C>, განახლებულია: 05.01.2021.

⁸ იქვე.

⁹ „ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების მე-3 რაუნდი იმართება“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 07.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35cOkIY>, განახლებულია: 05.01.2021.

¹⁰ იქვე.

¹¹ „ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი, სავარაუდოდ, დღეს გაიმართება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 08.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rYDzxx>, განახლებულია: 05.01.2021.

დაახლოება მოხერხდა, თუმცა დარჩენილია რამდენიმე მთავარი ასპექტი, რომლებზეც პოზიციები ვერ შეჯერდა“ - აღნიშნა „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა დავით ბაქრაძემ.¹² „ჩვენ გავიარეთ აბსოლუტურად ყველა საკითხი და არის თემები, რომლებზეც პოზიციების დაახლოება ხდება, თუმცა ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით ჩვენსა და ხელისუფლებას შორის პოზიციების სხვადასხვაობაა [...] არის საკითხები რაზეც ვერ ვთანხმდებით - რიგგარეშე არჩევნები, პოლიტპატიმრები“ - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ.¹³ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, გრიგოლ ვაშაძის თქმით, „მოლაპარაკებების რესურსი ყოველთვის არსებობს იმიტომ, რომ ამის გარეშე ჩვენი სახელმწიფო აღმოჩნდება ძალიან მძიმე დღეში. ჩემთვის პოლიტპატიმრების გათავისუფლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ, სამწუხაროდ, მასზე კომპრომისი ჯერ ჰორიზონტზე არ ჩანს“.¹⁴ რაც შეეხება მმართველ პარტიას, ირაკლი კობახიძის განცხადებით, მოლოდინები პოზიტიურია.¹⁵

ევროპარლამენტარი ანდრიუს კუბილიუსი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ აუცილებელია, ყველა მთავარმა პოლიტიკურმა ძალამ მიაღწიოს ერთობლივ შეთანხმებას.¹⁶ კუბილიუსმა ასევე გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერს, რომ ამჟამად ქვეყანაში მიმდინარე პროცესები დემოკრატიული საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესია, ხოლო პოლიტიკური არასტაბილურობის ფასი შეიძლება ძალიან მაღალი იყოს.¹⁷ კუბილიუსი ხაზს უსვამს ეროვნული პოლიტიკური კონსენსუსის მნიშვნელობას ევროკავშირისა და ნატოს წევრობის გზაზე, ეს კი, მისი თქმით, შესაძლებელი იქნება პარლამენტის სრულფასოვანი ფუნქციონირებით.¹⁸

პროცესს გამოეხმაურა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჟოზეფ ბორელი და იმედი გამოთქვა, რომ „ქართული ოცნების“ შეთავაზება კომპრომისის მიღწევას შესაძლებელს გახდის.¹⁹ „დროა ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა გამოიჩინონ ლიდერობა და უზრუნველყონ პარლამენტის წარმომადგენლობითობა. ვიმედოვნებთ, რომ „ქართული ოცნების“ ბოლო შეთავაზება კარს გაუღებს კომპრომისს და საშუალებას მისცემს პარლამენტს, წინ წასწიოს ძალიან საჭირო სასამართლო და საარჩევნო რეფორმა, გაუმკლავდეს სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს“ - განაცხადა ბორელმა.²⁰

ფასილიტატორმა ელჩმა კარლ ჰარცელმა გამოთქვა მზადყოფნა, გაიმართოს მოლაპარაკებათა იმდენი რაუნდი, რამდენიც საჭიროა პროგრესისთვის და საერთო პლატფორმის მისაღწევად.²¹ მისი თქმით, „გადანყვეტილების მიღება იქნება რთული, რაც მოითხოვს ხელმძღვანელობას და პასუხისმგებლობას, შესაძლოა, გამომგონებლობასაც, იმისთვის, რომ საჭირო შედეგამდე მივიდეთ“.²²

მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდის შემდეგ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ოპოზიცია ერთიანია და პარლამენტში შესვლას შეხვედრებში მონაწილე არცერთი

¹² იქვე.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ „ანდრიუს კუბილიუსი - ყველა მთავარმა პოლიტიკურმა ძალამ უნდა მიაღწიოს ერთობლივ შეთანხმებას“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 07.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K6Fi2E>, განახლებულია: 05.01.2021.

¹⁷ Georgian strategic unity is key to move forward with ambition of Euro-Atlantic integration By Andrius Kubilius, MEP, Chair of the European Parliament's Delegation to the Euronest Parliamentary Assembly, 07.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3okKgHU>, განახლებულია: 05.01.2021.

¹⁸ იქვე.

¹⁹ „დროა, ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა ლიდერობა გამოიჩინონ და უზრუნველყონ პარლამენტის წარმომადგენლობითობა - ბორელი“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 08.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pS1Rr3>, განახლებულია: 05.01.2021.

²⁰ იქვე.

²¹ „კარლ ჰარცელი - ყველას რთული გადანყვეტილებების მიღება მოუწევს - მზად ვარ მოლაპარაკებათა იმდენი რაუნდისთვის, რამდენიც საჭირო იქნება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 08.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2L41kn8>, განახლებულია: 05.01.2021.

²² იქვე.

პოლიტიკური სუბიექტი არ გეგმავს.²³

9 დეკემბერს ირაკლი კობახიძემ გამართა ბრიფინგი, რომელზეც გაახმაურა მმართველი პარტიის მიერ შემუშავებული შემდეგი ინიციატივები:²⁴

- სახელმწიფო დაფინანსებას და სხვა შესაბამის პრივილეგიებს ვერ მიიღებენ პარტიები, რომლებიც პარლამენტში არ იქნებიან წარმოდგენილნი;
- საარჩევნო რეგისტრაცია გაუუქმდება იმ პოლიტიკურ პარტიას, რომლის ლიდერიც კონსტიტუციურ საარჩევნო ცენზს ვერ აკმაყოფილებს;
- პარლამენტის შეკრებისთანავე უმრავლესობა დააინიცირებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ელჩების შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი, რომელიც 10 დეკემბერს უნდა გამართულიყო, გაუქმდა.²⁵

გერმანიამ და საფრანგეთმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს და საქართველოს მოუწოდეს, დემოკრატიული რეფორმების გზაზე სვლა განაგრძოს.²⁶ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველომ არჩენა მზადყოფნა, ესარგებლა განახლებული საპარლამენტო პლურალიზმით. ამასთან, პანდემიის მიუხედავად, დამაიმედებელი იყო ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა, თუმცა, ეუთო/ოდირისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშების თანახმად, არსებობდა გარკვეული ნაკლოვანებები საარჩევნო პროცესში.²⁷ წერილში ისინი საუბრობენ საარჩევნო და სასამართლო სისტემის ცვლილებებზე, იმავდროულად, ხაზს უსვამენ შემდგომი რეფორმების საჭიროებასა და მნიშვნელობას.²⁸ მათი თქმით, ასეთი დისკუსიისთვის პარლამენტი შესაფერისი ადგილია, ვინაიდან საკანონმდებლო პროცესი გაამყარებდა მიღწეულ შედეგს, ხელს შეუწყობდა მის განხორციელებას და, საბოლოო ჯამში, განამტკიცებდა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობას.²⁹ ისინი მხარდაჭერას უცხადებენ დიპლომატებს, რომლებიც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკების პროცესში არიან ჩართულნი.³⁰

საპარლამენტო არჩევნების შესახებ გამოთქმული პოზიციების გამო, აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩები მწვავედ გააკრიტიკა ოპოზიციური ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა ნიკა გვარამიამ.³¹ კელი დეგნანმა მისი მისამართით გაკეთებული განცხადებების კომენტარებისას განაცხადა: „აზრის გამოხატვა ყველას შეუძლია, თუმცა მოსაზრებებსა და ფაქტებს შორის განსხვავებაა.“³² ფაქტი ის არის, რომ საქართველოს აშშ-ზე უკეთესი მეგობარი არ ჰყავს. [...] მნიშვნელობა არ აქვს, მე ვიქნები ელჩი თუ სხვა, რომელ პარტიას ექნება ძალაუფლება საქართველოსა თუ აშშ-ში, ჩვენი მხარდაჭერა საქართველოსთვის წარმატების მიღწევაში არ შეიცვლება” - ნათქვამია კელი დეგნანის განცხადებაში.³³

ამ კრიტიკას კარლ ჰარცელიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „ეს (ფასილიტაცია) მართლაც

²³ „ოპოზიცია რჩება ერთიანი“ - კომენტარები შეხვედრების მე-4 რაუნდის შემდეგ“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 08.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35dMuRU>, განახლებულია: 05.01.2021.

²⁴ „ოცნების“ ინიციატივების სამართლებრივი და პოლიტიკური პრობლემურობა“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 09.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nGXopP>, განახლებულია: 05.01.2021.

²⁵ „მოლაპარაკებების V რაუნდი დღეს აღარ გაიმართება“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 10.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oiVlns>, განახლებულია: 05.01.2021.

²⁶ „საფრანგეთისა და გერმანიის ერთობლივი განცხადება საქართველოს შესახებ (2020 წლის 12 დეკემბერი)“, საფრანგეთის საელჩო საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 12.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ogwupC>, განახლებულია: 05.01.2021.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე.

³¹ „კრიტიკა თუ თავდასხმა ელჩებზე - მოლაპარაკებების ერთადერთ სივრცეზე“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 16.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2MD7fjx>, განახლებულია: 05.01.2021.

³² იქვე.

³³ იქვე.

ძალიან რთულად შესასრულებელი როლია. [...] გადანყვეტილებების მიღება პოლიტიკური ლიდერების ხელთაა. ჩვენ მეტი არაფრის გაკეთება არ ძალგვიძს. მე ამ როლის ერთგული ვიქნები მანამ, სანამ ვხედავ, რომ პოლიტიკური მხარეები მას სასარგებლოდ მიიჩნევენ. რა ნამსაც ვიგრძნობ, რომ ეს როლი აფერხებს პროგრესს ან არაფერს აკეთებს მის ხელშესაწყობად, ჩემი მანდატიც მყისიერად დასრულდება“ - განაცხადა ჰარცელმა.³⁴

15 დეკემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ გრიგოლ ვაშაძემ პარტია დატოვა და ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ელჩებზე თავდასხმები დაასახელა.³⁵

მეათე მონვევის პარლამენტის პირველი სხდომა და პარტიული სიების გაუქმება

ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის შესახებ განკარგულება პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გამოსცა.³⁶ საკანონმდებლო ორგანოს პირველი სხდომა 11 დეკემბერს 12:00 საათზე ჩაინიშნა.³⁷

შესაბამისად, 11 დეკემბერს გაიმართა მე-10 მონვევის პარლამენტის პირველი პლენარული სხდომა,³⁸ რომელზეც დროებითმა სამანდატო კომისიამ წარმოადგინა ინფორმაცია ფრაქციების შექმნის, უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრთა სიების რეგისტრაციის შესახებ.³⁹ ოპოზიცია სხდომას ბოიკოტის ნიშნად არ ესწრებოდა.

აშშ-ის საელჩომ საქართველოში და ევროკავშირის დელეგაციამ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.⁴⁰ „ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკური ლიდერები ინტენსიურ პოლიტიკურ დიალოგში მონაწილეობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი საკითხები კვლავ გადაუჭრელი რჩება, მხარეებმა უკვე მოახერხეს ფართო საარჩევნო რეფორმებზე ურთიერთგაგების მიღწევა, რაც, მათი განხორციელების შემდგომ, არსებითად გააუმჯობესებს საქართველოს მომავალ არჩევნებს“ - ნათქვამია განცხადებაში.⁴¹ მათი თქმით, ასეთი ტიპის ღია და პატივისცემაზე დამყარებული დებატები უაღრესად მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქართველო მიიწევს წინ, უფრო პლურალისტური პოლიტიკური გარემოსკენ, სადაც მრავალფეროვანი შეხედულებები და ინტერესები წარმოდგენილი.⁴² ფასილიტატორებმა მხარეებს მოუწოდეს, საგულდაგულოდ განეხილათ შესაძლებლობები, ხოლო თავად მზაობა გამოთქვეს, რომ გააგრძელებდნენ ძალისხმევას მხარეებს შორის შეთანხმების მისაღწევად.⁴³

აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა ცალკე კომენტარიც გააკეთა მედიასთან: „გვსურდა, ყველა სათანადოდ არჩეული პარლამენტის წევრი დღევანდელ გახსნაზე გვეხილა, რათა მათ შესძლებოდათ ცვლილებებისთვის ბრძოლა პარლამენტის შიგნით და არა - ქუჩაში“.⁴⁴ ელჩის განცხადებით, პარტიების ლიდერებმა, მიუხედავად მათ შორის არსებული ძალიან მკაფიო განსხვავებებისა,

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე.

³⁶ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 8 დეკემბრის №08/12/01 განკარგულება საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დანიშნის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bccdhu>, განახლებულია: 05.01.2021.

³⁷ იქვე.

³⁸ „საქართველოს მე-10 მონვევის პარლამენტის პირველი პლენარული სხდომა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 11.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oysr8t>, განახლებულია: 05.01.2021.

³⁹ იქვე.

⁴⁰ „საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადება“, აშშ-ის საელჩო საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 11.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38eeu9V>, განახლებულია: 05.01.2021.

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე.

⁴³ იქვე.

⁴⁴ „ელჩი კელი დეგნანის კომენტარი მედიასთან მე-10 მონვევის პარლამენტის პირველ სესიაზე“, აშშ-ის საელჩო საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 11.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3b9UdEn>, განახლებულია: 05.01.2021.

მნიშვნელოვანი სამუშაო გასწიეს და სწორედ ამის ხილვა სურდა პარლამენტის შიგნითაც.⁴⁵

პირველი სხდომის პარალელურად, ოპოზიციურმა პარტიებმა⁴⁶ ხელი მოაწერეს მემორანდუმებს მანდატების გაუქმებაზე.⁴⁷

1. უარი საპარლამენტო მანდატებზე - მას შემდეგ, რაც პარლამენტი ყველა დეპუტატის უფლებამოსილებას ცნობს, ოპოზიციური პარტიები ცესკოს მიმართავენ, რომ სიები ჩახსნას;
2. ოპოზიციური პარტიების მოთხოვნა რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებისა და საარჩევნო რეფორმის შესახებ;
3. სიმბოლური განცხადება - მემორანდუმი იმ დეპუტატების მხრიდან, რომლებიც უარს ამბობენ მანდატზე ამ მოწვევის პარლამენტში.

14 დეკემბერს ცესკომ, პარტიების მიმართვის საფუძველზე, რამდენიმე ოპოზიციური პარტიისა და ბლოკის საარჩევნო სიები გააუქმა. რეგისტრაცია გაუუქმდათ და პარტიული სიიდან მოიხსნა 5 პოლიტიკური სუბიექტი: საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“,⁴⁸ „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“,⁴⁹ საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“,⁵⁰ შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია,⁵¹ „ლელო - მამუკა ხაზარაძე“.⁵²

ამასთან, ცესკომ გამოაქვეყნა თამარ ფვანიას განკარგულება,⁵³ რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას 12 პარტია⁵⁴ მიიღებს.⁵⁵ პარტიების დაფინანსებაზე, ჯამში, წლიურად

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ მემორანდუმებს ხელი მოაწერეს ბარიერგადალახულმა პარტიებმა და ბლოკებმა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშია“, „ევროპული საქართველო“, „ლეიბორისტული პარტია“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ლელო“. ღონისძიებას არ დასწრებიან ალექო ელისაშვილის „მოქალაქეები“ და „გირჩი“, თუმცა, მათი თქმით, ბოიკოტის რეჟიმში რჩებიან.

⁴⁷ „ოპოზიციის მემორანდუმი: ვინ (არ) ამბობს უარს მანდატებზე დღესვე?“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 11.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38YrYFW>, განახლებულია: 05.01.2021.

⁴⁸ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 14 დეკემბრის №264/2020 განკარგულება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ მიერ პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

⁴⁹ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 14 დეკემბრის №265/2020 განკარგულება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მიერ პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

⁵⁰ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 14 დეკემბრის №266/2020 განკარგულება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო ბლოკის „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ მიერ პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

⁵¹ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 14 დეკემბრის №267/2020 განკარგულება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ მიერ პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

⁵² საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 14 დეკემბრის №268/2020 განკარგულება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის „ლელო - მამუკა ხაზარაძე“ მიერ პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

⁵³ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 11 დეკემბრის №263/2020 განკარგულება პარტიების დაფინანსების ოდენობების განსაზღვრის შესახებ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rWNNyK>, განახლებულია: 05.01.2021.

⁵⁴ ეს პარტიებია: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „პროგრესი და თავისუფლება“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ „ევროპელი დემოკრატები“, „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“, „კანონი და სამართალი“, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ლელო საქართველოსთვის“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“.

⁵⁵ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 11 დეკემბრის №263/2020 განკარგულების დანართი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Xey5k0>, განახლებულია: 05.01.2021.

12 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.⁵⁶

„ქართული ოცნების“ ინიციატივა პარტიის რეგისტრაციის გაუქმებისა და დაფინანსების შეწყვეტის შესახებ

21 დეკემბერს პარლამენტის ბიურომ სხდომაზე საკანონმდებლო ინიციატივები დაარეგისტრირა, მათ შორის, საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები პარტიის რეგისტრაციის გაუქმებისა და დაფინანსების შეწყვეტის შესახებ.⁵⁷ ინიციატივები გულისხმობს შემდეგს:

1. პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება

პირველი ინიციატივა უკავშირდება საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას იმ პოლიტიკური პარტიისთვის, რომლის ლიდერიც არ აკმაყოფილებს რომელიმე საკონსტიტუციო ცენზს.⁵⁸ კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით, თუ წინასაარჩევნო აგიტაციაში საარჩევნო სუბიექტის ლიდერის რანგში მონაწილეობს პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის კონსტიტუციით დადგენილ რომელიმე ცენზს, ცესკოს განკარგულებით, ამ სუბიექტს საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება.⁵⁹ ცესკოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში.⁶⁰

2. პარტიის დაფინანსების შეწყვეტა

მეორე ცვლილების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას მიიღებს მხოლოდ ის პარტია, რომელიც მისთვის განკუთვნილ საპარლამენტო მანდატებს ან მათ ნახევარს მაინც აითვისებს.⁶¹ ასევე, პარტია შემდეგი წლის დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ მისი წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნახევარი მაინც არასაპატიო მიზეზით გააცდენს მიმდინარე მოწვევის პარლამენტის წინა წლის ყველა პლენარულ სხდომას.⁶² იგივე პრინციპი ვრცელდება ერთ ბლოკში გაერთიანებულ პარტიებზე.⁶³

2020 წლის 23 დეკემბერს დეპუტატებმა რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე ამ ცვლილებებს პირველი მოსმენით დაუჭირეს მხარი,⁶⁴ იმავდროულად, კენჭი უყარეს საარჩევნო კანონმდებლობასა და რეგლამენტში დაგეგმილ ცვლილებებს.⁶⁵ პლენარულ სესიაზე ირაკლი კობახიძე გამოვიდა ინიციატივით, რომ პარტიების დაფინანსების წესისა და საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ კანონპროექტები ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირისთვის გაეგზავნათ⁶⁶ და მეორე მოსმენით მათი განხილვა მხოლოდ მას შემდეგ გაემართათ, რაც ამ ინსტიტუციების პოზიცია

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ „პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ახალი საკანონმდებლო ინიციატივები დაარეგისტრირდა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 21.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rVPOLc>, განახლებულია: 05.01.2021.

⁵⁸ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pMBUcq>, განახლებულია: 05.01.2021.

⁵⁹ იქვე, 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶⁰ იქვე, 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილი.

⁶¹ საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35dQIOS>, განახლებულია: 05.01.2021.

⁶² იქვე.

⁶³ იქვე, 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი.

⁶⁴ „პარლამენტმა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებას პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 23.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2MDplBV>, განახლებულია: 05.01.2021.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ „ირაკლი კობახიძე გამოდის ინიციატივით, პარტიების დაფინანსების წესთან და რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული კანონპროექტები ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს გაუგზავნონ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 23.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/392nePI>, განახლებულია: 05.01.2021.

იქნებოდა ცნობილი.⁶⁷

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები სხდომებს ბოიკოტის ნიშნად არ ესწრებოდნენ და, შესაბამისად, კენჭისყრაში არ მონაწილეობდნენ.⁶⁸

კანონპროექტებზე მოსაზრება გამოთქვა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა და განაცხადა, რომ ინიციატივები პარტიების რეგისტრაციის გაუქმებისა და მათი დაფინანსების შესახებ გარკვეულ შემოფოტებას იწვევდა.⁶⁹ „ზოგადად, რეგისტრაციის მოხსნა, რომელიც მიმართულია ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის წინააღმდეგ, ყოველთვის კითხვებს ბადებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა, როგორც ჩანს, კანონის მიღებას თან ახლავს გარკვეული განზრახვები“ - განაცხადა მან.⁷⁰ რაც შეეხება პარტიების დაფინანსებას, მისი თქმით, ამ საკითხს ფართო განხილვა სჭირდება. შესაძლოა, ზოგიერთებისთვის არსებობდეს ლოგიკა, რომ პარტია არ უნდა იღებდეს დაფინანსებას, თუკი ის საპარლამენტო ცხოვრებაში არ მონაწილეობს, თუმცა, იმავდროულად, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რას ნიშნავს პოლიტიკური პარტია დემოკრატიისთვის.⁷¹ ელჩის აზრით, მხარეები ამგვარი ქმედებებით ერთმანეთს უფრო შორდებიან, ვიდრე უახლოვდებიან, არადა დრო იწურება. მან დახმარების მიზანობა გამოთქვა და მხარეებს მოლაპარაკებისკენ მოუწოდა.⁷²

აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი ტელეკომპანია „ფორმულასთან“ ინტერვიუში გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ ინიციატივას და განაცხადა, რომ არ ეთანხმება ისეთ კანონს, რომელიც ოპოზიციის შევიწროებას ითვალისწინებს.⁷³ დეგნანი იმედს გამოთქვამს, რომ კანონპროექტი გადაიხედება, ვიდრე მას მიიღებენ.⁷⁴

ცვლილებებზე კომენტარი გააკეთა ევროპარლამენტის წევრმა, ევრონესტის საპარლამენტო ასოციაციის დელეგაციის ვიცეთავმჯდომარემ და მწვანეების ევროპული კავშირის წევრმა მარკეტა გრეგოროვამ და განაცხადა, რომ ეს იყო დემოკრატიის თვალსაზრისით უკან გადადგმული ნაბიჯი.⁷⁵

(1) საიამ პარლამენტს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების კანონის ცვლილებაზე დასკვნა წარუდგინა.⁷⁶ ორგანიზაციის აზრით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიების დაფინანსება, პირველ რიგში, ემსახურება ამ უკანასკნელთა ქმედებაუნარიანობის უზრუნველყოფას და მისი მიზანი არ არის მხოლოდ პარლამენტში მათი საქმიანობის ხელშეწყობა.⁷⁷ პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს სჭირდებათ ფულად სახსრებზე წვდომა, რათა ამომრჩეველამდე მიიტანონ თავიანთი მიზნები და ხედვა პოლიტიკის შესახებ.⁷⁸ ამ ფონზე, მმართველი გუნდის ინიციატივა პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების ჩამორთმევის შესახებ საიას მიერ აღიქმება, როგორც ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციისთვის განკუთვნილი თვითნებური სასჯელი.⁷⁹ **ორგანიზაცია**

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ „პარტიებმა მანდატების შეჩერებაზე შეიტანეს განაცხადი, რაც, ჩემი აზრით, შეთანხმების საკითხზე კარის დახურვა იყო“ - კარლ ჰარცელი“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „რუსთავი 2“, 19.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2JNOPLK>, განახლებულია: 05.01.2021.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ იქვე.

⁷² იქვე.

⁷³ „არჩევნები, პოლიტიკური კრიზისი და სტრატეგიული პარტნიორობა - ინტერვიუ კელი დეგნანთან“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „ფორმულა“, 24.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3i3XQgv>, განახლებულია: 05.01.2021.

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ „გრეგოროვა „ოცნების“ კანონპროექტებზე: „ეს არის ნაბიჯი უკან“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 23.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hLyNPd>, განახლებულია: 05.01.2021.

⁷⁶ „საიას აზრით, პოლიტიკური პროტესტის გამო პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტის მიზანი ოპოზიციის დასჯაა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 23.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rYxkJZ>, განახლებულია: 05.01.2021.

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ იქვე.

მოუწოდებს პარლამენტს, მხედველობაში მიიღოს პარტიათა სახელმწიფო დაფინანსების მიზნები და დანიშნულება, არ დაუშვას პოლიტიკური გაერთიანებების არაპროპორციულად შემზღვეველი, დაუსაბუთებელი ნორმების გაჩენა კანონმდებლობაში და მხარი არ დაუჭიროს წარმოდგენილ პროექტს.⁸⁰

(2) საია ასევე უარყოფითად აფასებს პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინიციატივას. პირველ რიგში, წარმოდგენილი რედაქცია არ აკმაყოფილებს განჭვრეტადობისა და სიზუსტის კრიტერიუმებს. კანონპროექტით გათვალისწინებული ტერმინები „ლიდერი“ და „ლიდერის რანგში“ ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ეს კი ქმნის კანონის არაერთგვაროვანი გამოყენებისა და კონკრეტულ შემთხვევებზე მორგების რისკს, რაც შეუსაბამობაშია საერთაშორისო მიდგომებთან.⁸¹ სანქცია პროპორციული და უკანასკნელი ქმედითი საშუალება უნდა იყოს,⁸² წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეიძლება პარტიის გაუქმების ეფექტიც კი ჰქონდეს.⁸³ ამიტომ საყურადღებოა პოლიტიკური გაერთიანების საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნის მექანიზმის უარყოფითი გავლენა პლურალისტურ დემოკრატიაზე, რაც კიდევ უფრო სათუოს ხდის ამ ინიციატივის შესაბამისობას ადამიანის უფლებების სტანდარტებთან. **აქედან გამომდინარე, საია მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, არ მიიღოს ეს კანონპროექტი.**

⁸⁰ იქვე.

⁸¹ იხ. ECtHR, Vona v. Hungary, no. 35943/10, 9 July 2013, para. 58, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3syH1iK>, განახლებულია: 16.01.2021.

⁸² Parliamentary Assembly (PACE), Resolution 1308 (2002)1: Restrictions on political parties in the Council of Europe member states Parliamentary Assembly, para 11. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oQAsFT>, განახლებულია: 16.01.2021.

⁸³ ECtHR, Linkov v. the Czech Republic, no. 10504/03, 7 December 2006, In: EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) GUIDELINES ON POLITICAL PARTY REGULATION, 2ND EDITION, CDL-AD(2020)032, Para. 106, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ssFF8V>, განახლებულია: 16.01.2021.